წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 17 სექტემბერი 1915 წ. № 94

# საქართველო

ხელის მოწერა ფ[illegible] განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, სალამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.



## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

**შაბათს, 19 სექტემბერს, სოფ. ახალქალას** (ლეჩხუმის მაზრა) თავად გელოვანთა საგვარეულო ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის

თავად იასონ დავითის-ძის

**გელოვანის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი კნ. ივდითი მერაბის ასული, ძე თავ. შოთა გელოვანი მეუღლით კნ. ელენე ფარსადანის ასულით, ასული ბაბო ნიჟარაძისა ქმარ-შვილებით, დისწული კნ. პაშა ახვლედიანისა ქმარ-შვილებით და შვილისშვილნი გუგულა და ზინა კვიტაშვილის ასულნი.

---

ხილეულ, მადნეულ და სამკურნალო წყლის

ქარხნები

**მ. ე. ლაღიძე და ამხ.**

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

**ხილეული წყლის მსმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მსმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **ხვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. **მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუ**ნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი**, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

---

კბილის ექიმა

**მამულაიშვილი**

(ხოდნევისაშ)

ანაახლა ავადმყოფების მიიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

---

ქ. გორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

## კავკასიის საოლქო ინტენდატთა მმართველობა

ოწვევს ვისაც ჰსურს

**ტყემლის ტყლაპის**

**გაკეთება ტ მოწოდება. მსურველმა უნდა ნიმუშიც გამოგზავნოს სამმართველოში.**

ქალ. თბილისში. ნიკოლაევის ქუჩაზე № 51. განცხადებას უნდა თან მოჰყვეს რაოდენობა და ფასი, ამასთანავე დრო და ადგილი, თუ სად როგორ ან როს მიღება შეიძლება. 2—2

---

[illegible]

**ვკისრულობთ**

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო

„კოტელოკებს" და „ცილინდრებს".

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ ბინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

ოლოვინის პროსპ. № 39.

[illegible]

---

12 ენკენისთვიდან იხსნება

## საქსოვის ქალთა სკოლა,

სადაც შეასწავლიან ყოველგვარ ფართლეულის (მატერიის) ქსოვას. კურსი ლიურია. თხოვნათა მიღება შეიძლება 20 ენკენისთვემდის სკოლის კანცელარიაში, იქვე მიიღება დაკვეთა ყოველნაირ მატერიისა.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 29. (8—5)

---

პირველხარისხოვანი

სასადილო

## „კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ჩაი, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

ატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

---

**გადაწერას საწერ** მანქანის

საშვალებით და საწერ **მანქანაზე**

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

**ი. თ. ზვამუას კანტორა**

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.



## ვიდრე გვიან იქნებოდეს...

ქართველ ვაჭართა შორის პირველი ადგილი ქუთათელ ვაჭრებს უნდა მიეკუთვნოს თავიანთი პროფესიის შეგნებისა და სათანადო ორგანიზაციის შექმნის მხრივ. კარგა ხანია რაც ქუთაისში შესდგა ვაჭართა საზოგადოება, რომელიც მთავრობისაგან დაკანონებულია და რომელსაც შემუშავებული აქვს მოქმედების პროგრამაც. წესდების ძალით, (წესდება ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოებისა), ხსენებულ საზოგადოებას უფლება აქვს ილვაწოს საკომერციო ცოდნის გასავრცელებლად. ამ მიზნის მისაღწევად, იგი ხსნის შესაფერ სკოლებს, მართავს ლექციებს, აღგენს კავშირებს, აარსებს სათანადო მუზეუმებს და სხვა და სხვა. საზოგადოებას არჩეული ჰყავს ცხრა კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც ევალება საქმის გაძღოლა და ჩამოთვლილ ღონისძიებათა თანდათანი განხორციელება. კომიტეტის თავმჯდომარეა ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი რ. ყ. დათეშიძე, ადამიანი მცოდნე საქმისა და თანაც მოყვარული და მტკიცე დამცველი საპროფესიო ინტერესისა. ცხადია ამგვარი საზოგადოების პირველ საქმედ ისეთი სკოლის დაარსება უნდა ყოფილიყო, რომელიც შეეფერებოდა დამაარსებელთა რეალ საჭიროებას და მოამზადებდა საკომერციო პროფესიისათვის გამოსადეგ მომავალ თაობას. ქართველ ვაჭარს, როდესაც იგი მთელი სიცოცხლე ყაირათობას და ქონებას იძენს, იმის იმედი უნდა ჰქონდეს რომ მისი დოვლათი გადავა გულშემატკივარ, კარგად მომზადებულ და თვით პროფესიის მოყვარულ მემკვიდრის ხელში და არ დარჩება უპატრონოდ, შემთხვევითი პირების სინდისზე მიგდებული. ასეთი იმედი დიდი სტიმულია ადამიანის ცხოვრებაში. იგი აზრს აძლევს მოქმედებას და ხალისს მატებს გარჯა-მუყაითობას. სულიერი სიმშვიდე, რომ მომავალში საიმედო მემკვიდრე ჩაუდგება საქმეს,—ეს წმიდა ფსიხიური განცდა—ძლიერთა ძლიერი ფაქტორია, რომ შეიქმნას ქვეყნის მასიური სიმდიდრე. ხოლო თაობათა აღზრდა და მომზადება მამეული ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის შეგნებულ განსაგრძობად თავის თავად განამტკიცებს პროფესიულ ტრადიციას, რომელიც მეორე დიდი ფაქტორია ქვეყნის სიმდიდრის წარმატებისთვის. ქუთაისის ვაჭრებმა, როგორც წოდებამ, მოგვცეს პირველი მაგალითი, რომ ჩვენშიაც დადგა ხანა საკუთარი რეალი საჭიროების შეგნებისა, და რომ ამ შეგნებულ საჭიროებას თან ჰყვება შესაფერი მიზან-შეწონილი და ამ საჭიროების ნამდვილი დამაყვავებელი მოქმედება. საჭიროება და ღონისძიება ერთი მეორეს შეეფარდა ჩვენში. რეალი ვითარება და სამერმისო მოქმედება ერთი მეორეს შეეხამა. საქმე სიტყვას უპასუხებს. ქუთათელმა ვაჭრებმა, როგორც წოდებამ, როგორც კოლექტიურმა პროფესიულმა ერთგვარობამ ამ მხრივ ძველ ტრადიციასთან კავშირი გასწყვიტა და თავის ჯიბიდან ფული გაიღო იმ მიზნით რომ თავიანთ შვილებსა და ქვეყანას, რომელსაც იგი ამ შემთხვევაში თავისი ახალ შეგნების თვალით ზომავს, დაუარსოს არა გიმნაზია, რომელზედაც დიდი ხანია რაც ქართველი საზოგადოება შეიშალა, არამედ საშუალო ტიპის საკომერციო სასწავლებელი. საზოგადოებას ნებართვა მიუღია, ბინაც დაუჭერია, მასწავლებელთა პერსონალიც შეუდგენია, ამ საქმის სათავეში ჩაუყენებია ბ-ნი კოტილიევსკი, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ყოფილი დირექტორი. ამ თვეში გაიხსნება თურმე ორი მოსამზადებელი და ერთი პირველი კლასი, და მუშაობაც გაჩაღდება.

ეს სრულიად ახალი ხასიათის ნაბიჯია ჩვენს ცხოვრებაში, ახალი ცდა და როგორც ასეთი, იგი განსაკუთრებული ყურადღების საგნად უნდა გადაქცეულიყო. ეს დიდი საზოგადოებრივი ღირებულების საქმეა. საქართველოში ქართველ ვაჭართა წრის თაოსნობით და სრულის შეგნებით არსდება საშუალო ტიპის საკომერციო სასწავლებელი; სკოლებით ღარიბ ქვეყანას ერთი საყურადღებო სკოლა ემატება; ქართველის ღარიბი ქისა კისრულობს ამ სკოლის შენახვას—ყველა ეს ისეთი მოვლენაა, რომელსაც უნდა გამოეფხიზლებინა ქართველი საზოგადოებრივი აზრი, ქართული პრესა, ყველას მონაწილეობა უნდა მიეღო და მოკრეფილიყო საერთო ძალღონე, ვინიცობაა ერთი ისუსტებდა სადმე, ან შეგნება უმტყუნებდა, რომ მეორე მიშველებოდა მას და ამნაირად ამ საქმისთვის მიეცათ შინაარსი და გარეგნული სახე, რაც შეიძლება უფრო გამოსადეგი ქვეყნისთვის. ეს საქმე პირველ ყოვლისა უნდა ეროვნულის თვალსაზრისით გაეშუქებინათ და ნამდვილ ეროვნულ საქმედ გადაექციათ. თავის დანიშნულების შემსრულებელი და ფხიზელი პრესა ასე უნდა მოქცეულიყო მაგრამ მას, როგორც ბევრი სხვაც, ესეც უყურადღებოდ გამოეპარა, მან ვერ შექმნა საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებრივი ზედგავლენა რომ საქმის ინციატორთა მოქმედებაში უუსჭიროესი კორექტივები შეეტანა. ხოლო ქუთათელმა ვაჭრებმა სკოლის საქმე, სჩანს, თავის ვიწრო ჯგუფურ საქმედ მიიჩნიეს; აქ მარტო საპროფესიო მხარე დაინახეს და სრულიად მიივიწყეს ეროვნული მომენტი. და ეს ხდება მაშინ, როდესაც მთელი ქვეყნიერობა ეროვნული იდეალებით სუნთქავს, როდესაც ყოველგან ეროვნების ღმერთი იწირავს ქვეყნის ძალასა და ენერგიას, როდესაც თვით ჩვენშიაც მახვილდება გრძნობა ეროვნული, და ეროვნული შეგნება უფრო და უფრო ძალაში შემოდის. ჩვენდა ღრმა სამწუხაროდ, ქუთაისის ვაჭრები ვერ ამაღლდენ ეროვნულ მომენტის შეგნებამდე, მათ ალღომა და ინსტიქტმა უღალატა. ასეთ სიმახინჯის წინააღმდეგ მთელი შეგნებული ქართველობა უნდა ამოქმედებულიყო, უნდა შექმნილიყო ერთი მტკიცე, ურყევი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ქვეყნის მბრძანებელია მუდამ ჟამ, და ეს ახალი ტიპის სკოლა ნამდვილ **ეროვნულ** სკოლად გაეხადნათ. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი სთვლემს, შეგნებული ქართველობა უფხოა, უმოქმედობის ინერციამ იმსხვერპლა იგი, ხოლო ქუთათელი ვაჭრები თვით ვერ გასცილდენ საპროფესიო ინტერესის მოთხოვნილებას, ვერ ამაღლდნენ ისე რომ შეეგრძნოთ ეროვნული ნაკლი და საჭიროება. მათ მიერ დაარსებული სკოლა მხოლოდ პროფესიულია და არა ეროვნული.

დამოუკიდებლად ეროვნულია უეღდუოებაა გათიშა ეს ორი მომენტი ქართველი საზოგადოების ცხოვრებასა და მოქმედებაში. მათი შედუღება-კი პირველი პირობაა ეროვნული ყოფისა და მომავლისათვის. მსხვერპლის დაურიდებლად უნდა მოხდეს ამ მომენტების შეერთება. ქუთათელი ვაჭრების სკოლა ნამდვილი რუსული სკოლაა, როგორც ყველა დანარჩენი. ეს-კი შეუწყნარებელი ღალატია ქვეყნისა და მომავალ თაობათა წინაშე. კერძო სასწავლებლებში გასულ წლის ივლისის კანონით შეიძლება ყველა საგნის სწავლება სამშობლო ენაზე. ვისარგებლოთ ამ უფლებით, ნუღარ ვიქნებით უშნონი, ლატაკნი სულით და უბადრუკნი მოქმედებით! წავიმძღვაროთ წინ ეროვნული სანთური და მით განვინათოთ ყოველდღიური საქმიანობის სავალი გზა.

ეროვნულის კულტურის მომავლის სახელით მოვითხოვთ, ქუთათურმა ვაჭრებმა გადასინჯონ თავიანთი მოქმედება და თავიანთი ახალი საქმე ეროვნული სულით გააცხოველონ, და არ გახადონ იგი ეროვნულ გადაგვარების ახალ კერად. ჯერ კიდევ დროა!

ს. კ—ძია.

## კეთილი ნიშანი

თავად-აზნაურობის წარსულ კრებაზედ, როცა ირჩეოდა საკითხი სხვა და სხვა საპროვინციო გიმნაზიების და პროგიმნაზიების დახმარებისა, ისევე როგორც წინა წლებში, მთელი საზოგადოება უარყოფით ჰხვდებოდა იმ ფულის გაღებას (ათას თუმნამდე), რომელიც უნაყოფოდ იფანტებოდა და ზარალითაც, მართველობის სასწავლებლებზედ. მრავალი წლის განმავლობაში ებრძოდა ამას ქართველი საზოგადოება და მხოლოდ წარსულ კრებაზედ მოხერხდა ცოტაოდენი შემცირება გორის პროგიმნაზიისა და სიღნაღის, მარიამის სახელობის გიმნაზიისათვის. გორის პროგიმნაზიისათვის შემცირება დახმარებისა აღძრული იყო რ. ერისთავისაგან და ატარებდა შემთხვევით ხასიათს, სიღნაღის გიმნაზიის საკითხს კი უფრო პრინციპიალი ხასიათი მიეცა, რადგან სრულის ჭეშმარიტებით თ-დი დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ეხლანდელი მარშალი, ამტკიცებდა ზაქათალის გიმნაზიის და სხვა მაგალითებით, რომ ეს დახმარება ვალდებულია გაუწიოს ერობამ. მართლაც რო

აქვს განსაკუთრებული სასკოლო თანხები და ამას გარდა ეგრედ წოდებული „მონარჩენები“, საიდანაც უნარის გამოჩენით შეიძლება ყოველთვის გამოიჭრას საკმარისი თანხა სკოლების დასახმარებლად. თ-დ ჩოლოყაშვილს წარსულ კრებაზედ თითქმის არავინ დაეთანხმა, რადგან ეს მეტად საძნელო საქმედ მიიჩნიეს, მაგრამ მან თავს იდო ამ საგანზედ შუამდგომლობა და მართლაც ჩინებულად მოახერხა: ამ დღეებში გაზეთებმა მოგვიტანეს ცნობა, რომ „საგუბერნიო განმანაწილებელ უწყებამ“ (Губернское Раскладочное Присутствіе) გადასდო სიღნაღის მარიამის გიმნაზიისათვის საერობო თანხიდან 2000 მანეთი; ეს პირველი მაგალითია, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კანონიერ გზით შემდეგშიაც ივლის ჩვენი მარშალი და შეეცდება საერობო თანხების განმანაწილებელ უწყებებში თვითონაც იმოქმედოს უფრო ენერგიულად, დეპუტატთა საკრებულოც მოიშველიოს და იქნება საზოგადოების წარმომადგენელნიც მიაღებინოს იქ, სადაც მათ უფლება აქვთ მიღებულ იქმნენ და ხმაც მისცენ ერობის თანხათა ასეთ თუ ისეთ განაწილებას. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება მეტადრე ეხლა, როცა ნამდვილი ერობა არსად არის, თანხები დიდძალი გროვდება ჩვენგან და როგორ იხარჯება, არავინ იცის. ამავე დროს ჩვენ სკოლებიც, გზებიც, ხიდებიც გვაკლია და ყოველგვარ კულტურულ დაწყებისათვის უნდა მივმართოთ ხოლმე ან კერძო ქველმოქმედებას ან თავად-აზნაურობის ისედაც გაწეწილ თანხებს. სიღნაღის გიმნაზია პირველი ქვაა, რომელიც გამოეცალა საერობო თანხების შემოკრულ ჯავშანს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შესაფერ ღონისძიებით, საერობო თანხები სრულადაც ისეთ საქმეებს მოხმარდება, რომლებისათვისაც პირდაპირი დანიშნულება აქვს.

რაე.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### სერბიაზე გალაშქრება.

შვეციის გაზეთების ცნობით, ავსტრია-გერმანია ამ დღეებში შემოუტევენ სერბიას.

— —

„რანეე უტროს“ ცნობა მოუვიდა, რომ ბულგარეთს განზრახული აქვს დაუყონებლივ დაიჭიროს მაკედონია. გვარდიას უბრძანეს ბრძოლად გავიდეს.

— —

სოფიაში მეფე ფერდინანდის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულობა გამოაშკარავეს.

— —

დააპატიმრეს გერმანიის, სოციალდემოკრატიის ცენტრალი ორგანოს რედაქტორი ბ-ნი მეიერი. დაპატიმრების მიზეზია მისი ბროშურა ამ სათაურით: „ზავი“. დეპუტატი ლიბკნეხტი სამართალში მისცეს.

— —

გერმანელებს დიდის სიჩქარით გადაყავთ ჯარები დასავლეთის ფრონტზე. გადააქვთ აგრეთვე დიდძალი სამხედრო სურსათი.

— —

ერობათა და ქალაქთა კავშირის წრეებში ფიქრობენ, მოსკოვის დეპუტაციის მიღება ორ კვირაზე ადრე არ მოხდება. „დენი“ ფიქრობს, რომ იგი საუდიენციოდ სრულებით არ იქნება მიღებულიო.

### გოგირდული მჟავის სეკვესტრაცია.

ავსტრია-გერმანიის მთავრობამ სეკვესტრი დაადვა გოგირდულ მჟავს. ავსტრიის სამხედრო მინისტრებთან დაარსდა სპეციალი კომისია რომელმაც უნდა გამოსძებნოს ღონისძიება გოგირდული მჟავის წარმოების გასადიდებლად.

### ინგლისის ბიუჯეტი.

თემთა პალატაში ხაზინის კანცლერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი უდიდესი ბიუჯეტია სამხედრო ბიუჯეტების ისტორიაში. ბიუჯეტი ადის 1,590.000.000 გირვანქა სტერლინგამდე (გირვანქა სტერლინგი უდრის ერთ თუმანს). ბიუჯეტს ხალხი კარგის თვალით შეხვდა თუმცა, მისი განსაკუთრებული სიმძიმე ყველასთვის საგრძნობელია.

### სოფიაში.

მდგომარეობა მწვავეა. ყველა ერთგვარ ლოდინშია, ყველა მთავრობის მომხრე დეპუტატი იზიარებს მთავრობის ფორმულას: „შეიარაღებულ ნეიტრალობას“. გენადიევისა და მისი ჯგუფის დასტურს მთავრობა დღე-დღეზე მოელის. „ნაროდნოე სობრანიეს“ მეორე ვიცე-პრეზიდენტის ივანჩევის წასვლამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამ წასვლას საზოგადოება პოლიტიკურ სარჩულს აძლევს. ივანჩევი წინააღმდეგი იყო მთავრობის ახალი კურსისა.

### რუმინია-საბერძნეთი ნეიტრალობას არ დაარღვევენო.

სოფიის მ[illegible]რობის წყაროდან ცნობა წამოვიდა, საბერძნეთი და რუმინია თავიანთ ნეიტრალობას იმ შემთხვევაშიც არ დაარღვევენ თუ ბულგარეთი სერბიას თავს დაესხაო.

### ვილჰელმის ბრძანება,

კიევში ჩამოყვანილი ტყვე ავსტრიელი ოფიცრები ამბობენ, ერთ-ერთ თვის უკანასკნელ ბრძანებაში იმპერატორი ვილჰელმი სწერსო: ჯარების სარდლების მოხსენებიდან ვიცი რომ ჩემი გაუტეხელი ჯარები დაიქანცნენ ხანგრძლივ ძლევა-მოსილ წინსვლით და რომ მოსვენება ესაჭიროებათ. ვაფასებ დიდად ჯართა სამსახურს და ვიცი კიდეც რანაირი დასვენების ღირსნიც არიან. ამგვარ დასვენებას ისინი მხოლოდ კიევში მიიღებენ. ჯარებო, თვით თქვენზეა დამოკიდებული დასვენების მალი მოპება. მოიკრიბეთ ძალ-ღონე და მოუთავეთ ნახევრად გასრესილ მტერსო. კიევი ახლოს არის და იქ დაისვენეთო. კიევში რუსები ხელში ზავის პირობით მოგვეგებებიანო“. (რ. ვ.)

### მწერლის დაშავება.

ვილნოსთან ახლო გრანატის ნატეხმა ორივე თვალი და მარცხენა ხელი დაუზიანა ცნობილ ბავარიელ მწერალს ლიუდვიგ ჰანგოფერს, რომელიც ფრონტის დასათვალიერებლად იყო ჩამოსული. დაშავებული მიუნხენის საავადმყოფოში დააწვინეს.

### პრუსიის რკინის გზები.

პრუსიის გზათა მინისტრის ცნობით, მიუხედავად იმისა რომ რკინის გზა ამ უკანასკნელ ხანებში ჯარების გაძლიერებული გადაყვანით არის გართული, საქონლის გადაზიდვა, წინა წლებთან შედარებით, შესამჩნევად იმატაო.

### გერმანული ფოსტა ვარშავაში.

ბერლინიდან იუწყებიან ვარშავაში გაიხსნა გერმანული ფოსტაო და 15 სექტემბრიდან გერმანული საფოსტო კანტორები იღებენ თურმე ვარშავაში გასაგზავნ კერძო კორესპონდენციებს.

### ბულგარეთის მობილიზაცია.

ათინის გაგებული პოლიტიკური წრეები ირწმუნებიან, ბულგარეთი ფარულ მობილიზაციას შეუდგა რამოდენიმე დღით ადრე ვიდრე ოფიციალად დეკრეტს გამოსცემდა მობილიზაციის თაობაზე. ამობილებული პირველი, მეექვსე, მეშვიდე და მეათე დივიზია მყისვე სერბიის საზღვრებზე გაუგზავნიათ.

### საბერძნეთის პოლიტიკური წრეები.

ათინის პოლიტიკური მოღვაწენი გაფაციცებით ადევნებენ თვალ ყურს ბულგარეთის ჯარის ყოველ ნაბიჯს. სიმპატიით და გულშემატკივრობით უცქერიან სერბიას და მოითხოვენ საბერძნეთის მთავრობისაგან ამ უკანასკნელთან დადებულ ხელშეკრულების ასრულებაში მოყვანას. ფიქრობენ, რადგან მთავრობას ვენეზილოსი უდგას სათავეში, არ შეიძლება სერბიას არ მიხედოსო.

### ინგლის-საფრანგეთის ჯარები.

გაზეთ „L'action-ის“ რედაქტორი, სენატორი ბერანჟე აღნიშნავს, საფრანგეთის ჯარში ამ ჟამად ხუთი მილიონი ჯარისკაცი ითვლება, რომელთაგან სამი მილიონი ფრონტზეა წასული. ინგლისმა თავი მოუყარა სამ მილიონ ჯარისკაცს, გარდა ფლოტისა და კოლონიელი ჯარისა. სამხედრო სურსათი და მასალა ინგლისსა და საფრანგეთს ბლომად აქვს, ფრანგებს სარდლებიც ყავნან, რაღას ვუცდით, შეტევას რად არ ვიწყებთ ვერ გამიგიაო, ამბობს სენატორი ბერანჟე. გაზეთები: „La guerre sociale“, „Matin“, „Eclair“, „L'humanité“ და სხვები მოითხოვენ რომ მოკავშირეებმა გააძლიერონ შეტევა, განსაკუთრებით დარდანელშიო.

### ფრანგი ავიატორები.

ბერლინიდან [illegible] იუწყებიან: სამშაბათ [illegible] ავიატორებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქ შტუტგარტს. მოკვდა ოთხი. ბევრი დაიჭრა სამხედრო თუ ისე გარეშე პირი.

— —

„Journal d'Alsace-ის“ რედაქტორს. ბერლინის გაზეთების ცნობით სტრასბურგში დაუსწრებელ განჩინებით სამუდამო კატორღა მიუსაჯეს. ბრალად ედებოდა ღალატი სახელმწიფოს წინაშე. იგი წინდაწინ მიიმალა.

### ახალი სესხი.

„Berlener Tageblatt-ის“ ცნობით მომავალ ოქტომბერს ავსტრია-გერმანია წარმოადგენენ სესხის ახალ კანონპროექტს. ამ სესხზე ხელის მოწერა მაშინ გაიმართება, როდესაც დაფარული იქნება გერმანიის ათი მილიარდიანი სესხიო.

### ჯარისკაცების გაწვევა.

გერმანიაში მოუწოდეს სამხედრო ბეგრის გადასახდელად ყველას, ვინც 1870 წ. 8 სექტემბრის აქეთ დაბადებულა და თავის დროზედ სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად უცვნიათ.

— —

ხელახლავ უნდა გასინჯონ და შეამოწმონ ის ჯარისკაცები და უნტერ-აფიცრები, რომლებიც სამხედრო სამსახურიდან დაუთხოვნიათ, როგორც ინვალიდები.

— —

1914 წლის გაწვეულებიდან ხელახლად უნდა შეამოწმონ ისინი, ვინც აქტიურ სამსახურიდან უვარგისობის გამო იყო დათხოვნილი. მთავრობა წინდაწინ აფრთხილებს რომ ამათ ჯარში არ ჩააყენებენ.

### ზრუნვა ჩამომავლობის გასავრცელებლად.

ბერლინში 26 ოქტომბერს გაიხსნება ხალხის ჯანმრთელობისთვის მზრუნველი საზოგადოების კონგრესი. კონგრესი გასტანს სამ დღეს. როგორც პროგრამა აღნიშნავს, კონგრესმა უმთავრესად უნდა გამოარკვიოს საკითხი გერმანელთა მოდგმის გამრავლებისა და დაცვისა ეროვნული სიძლიერის განმტკიცება-შენარჩუნების შესახებ.

# სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში

### მეფე ვახტან VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით)

(გაგრძელება, იხ. „საქართ.“ № 92).

უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი V-ემ „კანონების“ გარდა, რომელნიც „კრებულში“ შეიტანა ვახტანგმა და რომელთაც მხოლოდ მთიულთათვის ჰქონდათ მნიშვნელობა, გამოსცა სხვა კანონებიც. ამ კანონებს, უეჭველია, გავლენა უნდა ჰქონოდათ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც ეს ზემოდაც აღვნიშნეთ. ამის საბუთებად მიმაჩნია შემდეგი მოსაზრებანი:

1) „გიორგის კანონები“, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ, მხოლოდ მთიულებისთვის იყო გამოცემული. „წყალობითა ღვთისათა,—ვკითხულობთ „კანონების“ წინასიტყვაობაში,—ჩვენ, მეფეთა მეფე გიორგი... ვცემთ ამ კანონებს იმ დროს, როდესაც მთიულეთში ფეხი შევსდგით, ვითარცა ჩვენს უცილობელ სამფლობელოში... ამიერიდან ჩვენი ერის საკეთილდღეოდ ვცანით დაგვედგინებინა სახელმძღვანელო და წესრიგი შურისძიებისა თუ სხვა რამ დანაშაულის სასჯელის დროს. ეს დადგენილებანი სავალდებულო იქნება გორიჯვრისა, ხადა წყაოთისა, ზანდევის უღელტეხილისა, კიბეთისა, ქვეშეთისა და ზემო მენესეს საზღვრებში“. ძნელი დასაჯერებელია ვიფიქროთ, რომ გიორგი V-ის სასჯულმდებლო მოქმედება მხოლოდ ამ ვიწრო ფარგლებში [illegible]ქცეულიყო, ვინაიდან მართლმსაჯულებას მთიულებზე არა ნაკლებ საქ[illegible] იანობარი ჰსაჭიროებდა.

2) ვახტანგის კრებულის მე-102 მუხლში ნათქვამია, რომ შუათანა ძმას არაფერს აკუთვნებდნენ და თუ რამეს მისცემდნენ, ისიც კერძოდ მის საშრომოსაო. მაგრამ მეფე გიორგიმ ყურადღება მიაქცია ამ უმართლო დადგენილებას და მამა-პაპეულ მამულიდან განსაკუთრებული წილი დასდო შუათანა ძმებისათვისაო. ასეთი დამოწმება გიორგის კანონებისა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს მაქსიმე კოვალევსკი [1]), ოდნავაც არ ამართლებს ამ კანონთა შინაარსს. მართლაც „გიორგის კანონებში“ არ არის მზგავსი დადგენილება. აქ ჩვენ არ ვეკამათებით მ. კოვალევსკის, რომ უპირატესი მემკვიდრეობა შუათანა ძმისა ქართველთა უძველეს ჩვეულებას ეკუთვნის, რომელიც გიორგის კანონებზე ადრე იყოო, მაგრამ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ვახტანგის მიერ ასეთი მოწმობით ხელმძღვანელობა უსათუოდ ჰგულისხმობს გიორგის წერილობით კანონებს, რომელნიც ამ უძველეს ჩვეულებასაც შეიცავდნენ.

3) რომ გიორგის სასჯულმდებლო მოქმედება მხოლოდ ცნობილ „კანონებით“ არ შემოფარგლულა, ესეც ცხადად სჩანს საქართველოს ისტორიიდან,[2]) და ბოლოს

4) „მოსეს სჯულის“ წინასიტყვაობაში პირდაპირ ნათქვამია გიორგის კანონებზე, რომელნიც სავალდებულოდ ითვლებოდა მთელს საქართველოს ტერიტორიაზე. იმ დროს საქართველო სამ სამეფოდ იყო გაყოფილი: „იგიო,—ვკითხულობთ წინასიტყვაობაში მეფე ვახტანგის შესახებ,—სულით და გულით შეეწირა საზოგადო სიკეთეს და თავის ერის კეთილდღეობას, მოჰკრიბა სჯულის ყოველგვარი წიგნი, რომელნიც დრო და გარემოების მიხედვით უცხო ქვეყნებში გაეტანათ და დაკარგულად ითვლებოდნენ, ზოგი მართლაც უკვ[illegible]ოდ დაკარგულიყო... აქ ჩამოთვლილია სია რამდენიმე ძეგლისა, რომელთა შორის მეოთხე ადგილი უჭერია დიდი მეფე გიორგი მეხუთის კანონებს, რომელთა საშუალებით სამართალს განაგებდნენ მთელს საქართველოში, თუმცა საქართველო იგი იმ ჟამად სამ სამეფოდ იყო გაყოფილიო.[3]) ყველა ამის შემდეგ, ჩემის აზრით, აღარავითარი ეჭვი არ უნდა დარჩეს, რომ გიორგის წერილობითი კანონებიდან ბევრი რამ დაკარგულა, ან და, შესაძლებელია, როგორც ფიქრობს ჩვენი ისტორიკოსი ბაქრაძე, სადმე მიგდებული და მკვლევარის მზრუნველ ხელს ელის აღმოსაჩენად.

ის კანონები, რაც რომ „კრებულში“ მოხსენებული „აღბუღას კანონებით“, როგორც წინა სიტყვაობიდან სჩანს, შედგენილია არა მარტო აღბუღას მიერ: „შევიყარენით ჰოლთას,—ამბობს აღბუღა ამ წინასიტყვაობაში,—მინდობილნი ღვთისანი და აწყურისა ღვთისმშობლისანი და გაქცევისა, დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა, მანდატური უხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრეთვე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ,[4]) რა რომ წინაპარ ბექას სამართალს გადმოიღებს უცვლელად, ბექას თავის მხრით შეაქვს ერთგვარი შემატება იმ დადგენილებათა, რომელნიც სხვადასხვა დროს უწესოების მოსასპობად შეუდგენიათ.[5]) თვით შინაარსი ამ კანონებისა გვითითებს იმაზე, რომ მართლა სხვადასხვა დროს შეუდგენიათ იგინი, ხოლო ორი წინასიტყვაობა (გვ. 1 და 67), ნათელსა ჰყოფს, რომ ეს მეორე წარუმძღვარებიათ თვით აღბუღას კანონებისთვის. თუ აქ შევთანხმდით, მაშინ, უეჭველია, უნდა უცვლელად მივიღოთ ბ-ნ ჟორდანიის მოსაზრება, როდესაც პირველ ნაწილის ავტორად მე-6—7 გვერდამდე ახასიათებს ბექა II-ს, ხოლო მეორე ნაწილისად კი—აღბუღას.

ბექა (1361—1391) და მისი შვილიშვილი აღბუღა (1444—1451) ათაბაგები ანუ სამცხე-საათაბაგოს მფლობელები იყვნენ. დღევანდელი ადმინისტრატიული სახელწოდება რომ ვიხმაროთ, სამცხე-საათაბაგოს მაგიერ გვექნება ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები არტაანის ოლქითა და ჭოროხის ხეობით. სიტყვა „ათაბეგი“ სელჯუკურია და ნიშნავს მთავრის შვილის აღმზრდელს. აქ საჭიროდ მიმაჩნია ავხსნა, თუ რანაირად შეიცვალა ამ სიტყვის მნიშვნელობა. თავდაპირველად აღმზრდელის აღმნიშვნელი, იგი ბოლოს და ბოლოს გარდაიქცა მფლობელის სინონიმად, რომელიც თითქმის დამოუკიდებლად განაგებდა მთელ მხარეს. ამის შესახებ განმარტებას ჩვენ ვპოვებთ ბ-ნ ჟორდანიის მონოგრაფიაში, რომელიც მიძღვნილი აქვს ბექა და აღბუღასათვის და მათი საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის.[6]) საქართველოში უძველეს დროიდან ეს ადათი იყო, რომ წარჩინებულთა შვილებს სხვის სახლში გააბარებდნენ აღსაზრდელად. ამ ადათს მისდევდნენ თვით მეფეებიც, რომლებიც უფროს შვილს გააბარებდნენ რომელიმე დიდებულის ოჯახში. აქედან ამ ადათს დაერქვა ათაბეგობა, რაიც იგივეა რაც კავკასიის მთიულთა ათალიგობა ანუ მეძიძეობა.[7]) შემდეგში ათაბეგობა გადაიქცა უმაღლეს თანამდებობად, და როგორც ტიტული მიენიჭებოდა ხოლმე ზოგიერთ დამსახურებულ და გამოჩენილ პირს.

როგორც ჰხედავთ, ძველის ძველმა ჩვეულებამ დაჰკარგა თავისი პირვანდელი სახე და გადაიქცა საზოგადო ინსტიტუტად. ათაბეგობა ამიერიდან ნიშნავდა პირველ ვეზირს, რომელსაც მეფე განაწესებდა რომელიმე ქვეყნის მმართველად. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ეს ქვეყნები მეფეთა უზენაეს გამგებლობის ქვეშ ირიცხებოდა, დანიშნული ათაბეგები არა იშვიათად ცდილან დამოუკიდებლად განეგოთ ისინი. ხოლო თუ რამდენად ნაყოფიერი იყო მათი ცდა, შეიძლება იქიდანაც წარმოვიდგინოთ, რომ სამცხის ათაბეგები, ბექა და მისი შვილიშვილი აღბუღა, ეხლა ჩვენი ყურადღების საგნები, თითონ ადგენენ კანონებს თავ-თავის საათაბეგოსათვის.

სამწუხაროდ ძალიან ნაკლებ ცნობას იძლევა ისტორია ბექას ცხოვრებისა და და უფრო განსაკუთრებით-კი მისი სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ. იგი მოხსენებულია მხოლოდ აქა იქ მატიანეში, რომელიმე თვალ-საჩინო ამბავთან და მოვლენასთან ერთად. ცნობილია, მაგალითად, რომ იგი ჩამომავალია სახელ განთქმული ბექა I-ისა, გიორგი V ბრწყინვალის აღმზრდელისა. მისი აღზრდის ისტორიაც მოცულია ბურუსით, მაგრამ როგორც ჯაყელთა ოჯახის შთამომავალი, რომელიც ისტორიაში განთქმული იყო სამხედრო თვისებით და საკანონმდებლო მოღვაწეობით, არ შეიძლებოდა მასაც არ გამოჰყოლოდა წინაპართა ეს ღირსებანი. აქვე აღვნიშნავ, რომ ჯაყელები სამცხეს ათაბეგები იყვნენ, და თავიანთ წოდებას მემკვიდრეობით გადასცემდნენ. ერთად-ერთი გარემოება თითქოს წარუხოცელ ჩირქსა სცხებს მის პიროვნებას, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გარემოებას შევხედავთ წმინდა ქართველის თვალსაზრისით, რომელიც ბრძოლაში უშიშრად გადიოდა სამშობლოსა და რჯულისათვის და გიჟური გატაცებით ეკვეთებოდა ხოლმე უსჯულოთა აუარებას. საქმე ისაა, რომ მის დროს საქართველოს შემოესია ძლიერი და ამაყი თემური, რომელიც, მებატონეს სიტყვით, თავის უთვალავ ბრბოთი მთელ სამყაროს აბნელებდა“. სომხეთისა და ყარსის აღების შემდეგ, ის პირველად ეკვეთა სამცხეს, ვით „ტალღა მრისხანე“.

სამცხის ათაბეგმა ბექა მეორემ უგუნურებად იცნო თავის ერთი მუჭა მხედრობით შემმოდა ამ სტიქიურ მრისხანებას და არჩია მორჩილება გამოეცხადებია თავის მტრისთვის, რომ ამ მორჩილებით მაინც გული მოელბო და ლმობიერი ეყო გამანადგურებელი ინსტიქტი მრისხანე თემურისა. მაგრამ საქართველოს ისტორიას ეს ვერ უპატიებია სამცხის ათაბეგისათვის, თუმცა ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი თავისი თვალსაზრისით სრულიად სამართლიანად მოიქცა; მართლადაც და ამგვარი დამორჩილება ქართველ მეომართა საღვთო ადათისა დარღვევა გახლდათ, ეს იმ ადათების დარღვევა, რაიც ქართველთ უკარნახებდა: „მტერს დაინახავ? გაუმკლავდიო“.

პ. კიზირია.

(შემდეგი იქნება)

[1]) М. Ковалевскій: „Законъ и обычай на Кавказѣ“, т. I, стр. 171.

[2]) Histoire de la Georgie, I, 648—649.

[3]) „კანონების კრებული“, გვ. 146.

[4]) „კანონების კრებული“ გვ. 81.

[5]) ibid, გვ. 95.

[6]) გაზეთი „ივერია“ 1890 წ. № 201.

[7]) Професоръ Леонтовичъ. Адаты кавк. горцев. т. I стр. 363—364.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუნებისათვის. წარმოდგენილ მოხსენებათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ცნობილი ჰიგიენისტ-ბაქტერიოლოგის, მიუნხენის პროფესორის, მაქს გრუბერის მოხსენება მოდგმის გამშვენიერების შესახებ და პროფესორ ოლდენბერგის მოხსენება მოდგმის გამრავლების თაობაზე.

**საბერძნეთის მობილიზაცია.**

საბერძნეთის მობილიზაცია კარგად მიდის. ხალხს ხალისით გამოაქვს პატრიოტული მსხვერპლი. რამოდენიმე საზოგადო შენობას რეკვიზიცია უყვეს. ბირჟა და უნივერსიტეტი დაკეტეს. ამბობენ საცაა, ათინაში საალყო წესები გამოცხადდებაო.

**სიმაგრეების დათვალიერება.**

სტამბოლიდან იუწყებიან, ფონ-დერ-ჰოლც-ფაშა, ენვერ-ფაშა, ხაკი-ფაშა და 10 მაღალი ჩინის გერმანელი ოფიცერი სმირნაში გაემგზავრნენ სიმაგრეების დასათვალიერებლად. გერმანელი ოფიცრები განუწყვეტლივ მოდიან სტამბოლში რომ დაიჭირონ დარდანელში დახოცილ ოსმალო ოფიცრების ადგილები და ამით ნაკლი შეავსონ.

**ქარხნების რეკვიზიცია.**

ოსმალეთის მთავრობამ ყველა ოსმალოს ქარხნების რეკვიზიცია მოახდინა, სამხედრო სურსათის დასახმარებლად. ფოლადის ნაკლებობაა. ბულგარეთი ოსმალეთს განუწყვეტლივ უგზავნის სამხედრო სურსათს. მთელი ფრაკია ერთ უზარმაზარ ბანაკს წარმოადგენს; მისი სიმაგრეები შემოვლებულია სამ გზობა მავთულიან ღობით და ნაღმის გალერეებით.

**რადოსლავოვის განცხადება.**

რადოსლავოვი ინახულეს აგრარ-სოციალისტებმა. მინისტრმა აცნობა რომ ზედმეტი იყო მათი მოსვლა. სოციალისტების მუქარაზე, რომ ისინი კრედიტს არ მისცემენ მთავრობას, რადოსლავოვმა განაცხადა, რომ კრედიტი მთავრობას არ ესაჭიროება, რადგანაც შეთანხმების ძალით ბულგარეთმა თვიურად 50 მილიონი უნდა მიიღოსო.

სამართლებას, რომელთაც სახელმწიფო ღალატს აბრალებენ, —ვითომც ისინი ოსმალეთის ჯარს შეერთებოდნენ და რუსის მხედრობას თავს დასხმოდნენ. ბრალდებულთ იცავენ: ბათომელი ვექილები ბ-ნნი მუატი, ფუქსი და ანჯაფარიძე; ქუთათური ვექილები—სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ევგენი გეგეჭკორი და თავ. მ. გ. ფაღავა და თბილისელები—ბ-ნი ზელენსკი და ი. მაჭავარიანი. გამომძიებლის მოწმეებად დასახელებულნი არიან ბათომის ოლქში მცხოვრებნი სომხები და ბერძნები.

29 სექტემბერს დაიწყება გარჩევა ასეთივე საქმისა. მაშინ 43 კაცს გაასამართლებენ. მათ დამცველებად, გარდა აქაურ ცნობილ ვექილებისა, მოწვეული არიან გამოჩენილი იურისტები ტესლენკო და ზარუდინი.

◆ **დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცები.** თბილისის ლაზარეთში იმყოფებიან შემდეგი ჯარისკაცნი: კულუხაშვილი სევერიან გიორგის ძე, გუმაშვილი სიმონ, ხარაშვილი სოფრომ ვახტანგის ძე, ნუცუბიძე ვასილ გერასიმეს ძე, გულმაგარაშვილი გიორგი გიორგის ძე, ნებიერიძე ნესტორ სიმონის ძე, ათეშვილი ზაქრო გაბრიელის ძე, ბიბილაშვილი ივანე ილიკოს ძე, ხიზანაშვილი პავლე ესტატეს ძე, სილანაშვილი გიგო ივანეს ძე, პარუნაშვილი მიხაკო ივანეს ძე, გოგლოშვილი ლავრენტი, ცავა ნიკო ივანეს ძე, მოსინავა სტეფანე ქაქურას ძე, ფხალაძე ვლადიმერ იაგორის ძე, იმერლიშვილი ვასილ ალექსის ძე (პრაპორჩიკი).

---

**შეცდომის გასწორება**

მასალების გადარჩევისა და აწყობის დროს, სამწუხარო დაუხედაობით, გუშინდელი ჩვენი წერილის „უკანასკნელი სიტყვის“, მთელი ერთი ადგილი განზე დარჩენილა. რადგანაც ამ ადგილის გამოტოვება გაუგებარს ხდის აზრის მსვლელობას, ამიტომ მოგვყავს იგი.

„ფრაზას: „რომ გარეშე მესამე პირები და ჯგუფები არ ჩარეულიყვნენ საქმეში“ უნდა მისდევდეს ეს გამოტოვებული ადგილი: „მართალია, ჩვენს მაქსიმალურ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ, „სახალხო ფურცელმა“ სამედიატორო სამართალზე მიგვითითა, მაგრამ ჩვენ არ ვინდომეთ ვიწროდ, ორიოდე პირის წინ, აგრე რომ ვსთქვათ tête â tête.... და სხვა.

---

გუშინდელ მეთაურში, მეორე სვეტზე დაბეჭდილია: ბულგარეთის ნაბიჯი პოლიტიკის სალი გაკვეთილია, რომლის ყურადღება და სხ. უნდა იყოს: ...რომლის ყურად ღება და სხვ...

# შტაბის დეპეშები

**თბილისი, 15 სექტემბერი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 14 სექტემბერს ოლთისის მიმართულებით ბარაკეტის რაიონში სროლა იყო. მელიაზგერთის მიმართულებით, მერგეხელთან მზვერავებს შეტაკება მოუვიდათ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.**

**პეტროგრადი, 15 ენკ. ოფიციალი. რიგისა და დვინის რაიონებში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. დვინის რაიონში დაუცხრომელი საარტილერიო ცეცხლი მძვინვარებს. წინანდებურ მკაცრ ბრძოლას ოდნავი შენელება არ ეტყობა. ვილეიკის რაიონში მდ. ნაროჩის ღელეში გერმანელთა იერიში შეჩერებულ იქმნა რუსების მიერ. ოშმიანის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონში რკინის გზის გასწვრივ გერმანელებმა აიღეს სოფელი პასტოიანეს, მაგრამ მალე ისევ უკუგდებულ იქმნენ. სასტიკი ბრძოლა განახლდა ამავე ადგილას. ადგილ-ადგილ გერმანელები ქარიშხალისებურ ცეცხლს აყენებენ. ამ რაიონის მხოლოდ ერთ ნაწილში ათი ათასჯერ მაინც გამოისროლეს მძიმე კალიბრის ზარბაზნებიდან. მძაფრი ბრძოლა მოხდა სოფელ ლიტვასთან, სადგურ ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით. პრიპიატის სამხრეთით და გალიციის ფრონტზე მტერს დიდძალი ძალები გამოჰყავს. კოლკის რაიონში მდინარე სტირის ერთ-ერთ ფრონტზე რუსის მოწინავე ჯარებს შეტაკება მოუხდათ მტრის რაზმებთან. ხიშტის მიტევის შემდეგ რუსებმა აიღეს სოფელი ვოროზიევკა, ტარნოპოლის სამხრეთ-დასავლეთით. სოფ. მარინკის რაიონში, ტარნოპოლის სამხრეთ-დასავლეთით, გერმანელთა ბატალიონში პანიკა მოხდა, როდესაც გვერდიდან მოულოდნელად რუსის ჯარმა შეუტია...**

# ახალი ამბავი

◆ **ინფანტერიის გენერალი ნ. ნ. იანუშკევიჩი,** მეფის მოადგილის თანაშემწე, 15 სექტემბრიდან შეუდგა მეფის მოადგილის თანამდებობის ასრულებას.

◆ **დარბაზობა.** მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი, ინფანტერიის გენერალი ნ. ნ. იანუშკევიჩი, 15 სექტემბერს სადარბაზოდ იყო თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილთან. გუშინ, 16 სექტემბერს, დილის 10 საათზე, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა სამაგიერო დარბაზობა გაუწია ბ-ნ იანუშკევიჩს.

◆ **გამომშვიდობება.** დღეს, დილის 11 საათზე, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და დებუტატები, გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელის თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით, გრაფ. ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვთან შევლენ და მიმავალ გრაფს გამოემშვიდობებიან.

◆ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის რწმუნებულმა ბ-ნმა ჩელნოკოვმა გელოვანის ხსოვნას სიტყვა უძღვნა. ყრილობის წევრებმა და საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

◆ **გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** გუშინ, 16 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ბორჯომიდან თბილისს მოვიდა. ვაგზალში მას მიეგებნენ სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ **მასწავლებლების დანიშვნა.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ ზუგდიდის სკოლის მასწავლებლად დაამტკიცა იქაურ განყოფილების მიერ მიწვეული დოროთე უჩანეიშვილი, ხოლო გალის (სამურზაყანოში) ორკლასიან სამრევლო სკოლის ქართული ენის მასწავლებლად გააწესა კონსტანტინე ბუაჩიძე. ხსენებულ საზოგადოების კავკავის განყოფილებამ იქაურ სკოლის მასწავლებლად მიიწვია სტეფანე კიკაჩეიშვილი.

◆ ქუთაისის დასის რეჟისორი შალვა დადიანი ქუთაისში მიემგზავრება.

◆ **გამოქცეულ სომხების დახმარება.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა 25.000 მანეთი მიიღო ი. ა. მანთაშევისაგან გამოქცეულ სომხებისათვის დასახმარებლად.

◆ **სასანიტარო მზრუნველების განცხადება.** ნაძალადევის სასანიტარო მზრუნველებმა—გ. ბ. ჩარკვიანმა და ნ. მ. ყარა-მურზამ—ქალაქის გამგეობას წერილობით განუცხადეს, რომ თანამდებობას თავს ვანებებთო. მათ მაგიერ ქალაქის საბჭომ სხვები უნდა აირჩიოს დღეს.

◆ სოფ. წაღვერში მწერლების თავშესაფარი საავარაკოს ადგილის შესაძენად შემოსწირეს მეზურნეებმა: გიორგი ხუდაშელმა, ანდრო ნიადაგაშვილმა და ვასო დელიაშვილმა—სულ ხუთი მანეთი (5 მან.).

◆ **კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება უნდა შესდგეს.

◆ **ხმოსანთა არჩევნების გამო.** დღეს ქალაქის საბჭომ უნდა განიხილოს საგუბერნიო გამგეობის საქალაქო საქმეთა საკრებულოს წინადადება იმის შესახებ, რომ ხმოსანთა ასარჩევად თბილისი რვა ნაწილად დაიყოს, და არა შვიდად, როგორც ქალაქის საბჭომ დაადგინა 15 ივნისს.

◆ **ხოლერა.** 15 და 16 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 2 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 3 კაცი. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 159 და ხოლერის ნიშნებით 5 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** 16 სექტემბერს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: საოფლიანი 40, ხუნაგიანი 31, ყვავილიანი 2, შავი სახადიანი 41, საოფლიანი 29 და მუცელაიანი 6 კაცი.

◆ **აჭარლების გასამართლება.** დღეს, 17 სექტემბერს, ბათომში სამხედრო სასამართლო შეუდგება ცხრა აჭარლის გა-

## რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

**წერილი VII.**

წინა წერილში [1]) აღვნიშნეთ, რომ 1906 წელს სასულიერო უწყების ამიერ-კავკასიელი რუსობა და ერთობ არა-ქართველნი თითქმის ამხედრდნენ ქართველების და კერძოდ ავტოკეფალიის წინააღმდეგ, მაგრამ ეს საერთო მოვლენა არ იყო. რუსებ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელნიც უშიშრად და უანგაროდ გამოესარჩლნენ ივერიის ეკკლესიის დამოუკიდებლობას და „შესაფერისი“ სასჯელიც მიიღეს ამისა გამო. და ამ ხელჩართულ ბრძოლაში ისევ ჩვენს წრეში მოხდა ტაქტიური უკან-დახევა. ეს იყო ქართველ „მღვდელთა ჯგუფის აზრი“ იმის შესახებ, თუ „რა ტაქტიკას უნდა ადგეს ქართველი სამღვდელოება სამშობლო ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში აღდგენისას“ [2]).

საგულისხმოა, რომ „ჯგუფის აზრი“ პირველად და, ვგონებ, მხოლოდ რუსულად დაიბეჭდა. [3]) მაგრამ რუსულ გაზეთმაც ვერ გაიწილადა მისი შინაარსი და თავის შენიშვნაში ზრდილობიანი, მაგრამ აშკარა უნდობლობა გამოუცხადა... [4]) და, ვგონებ, არავის დაგვიკლია გაკიცხვა, დაცინვა და მაგარი სიტყვები. მაგრამ ეს მხოლოდ დროს დამახასიათებელი მოვლენა იყო ჩვენის მხრით. ეს ის დრო იყო, როდესაც ნაადრევ გაზაფხულის სითბო-სინათლემ უზომოდ ააღელვა, თითქოს შეაზარხოშა მთელი ხალხი მოხუცებულიდან დაწყებული ბავშვამდინ, ისტორიულ ნახტომებს ვამზადებდით, ზეცას და ქვესკნელს ვეპოტინებოდით. იმ ხანებში გახლდათ, როცა კერძოდ საეკლესიო საქმეებში ძირითადი და სახელდახელო ცვლილებანი იმდენად უკვე მომხდარი საქმე იყო უმრავლესობის თვალში, რომ როცა დელეგატების კრებაზედ (12 დეკემბ. 1905 წ.) ვიღამაც კითხვა დასვა, ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა აღდგენილია თუ არაო, და ერთმა ფრიად სანდო, მაღალ ღირსების სასულიერო პირმა მორიდებით სთხოვა დამსწრეთ, ამ საკითხის გადაწყვეტა 1906 წლის 14 იანვრამდის გადასდევით, რადგან თქვენი სახელით ასეთი პირობა მივეცი ნიკოლოოზ ექსარხოსსაო, მრავალმა მძიმე საყვედური და ზოგიერთებმა შეურაცხმყოფელი სიტყვებიც კი აკადრეს მას ასეთის „მოთმინებისა და საქმის გაჭიანურებისათვის“...

ასეთ ფსიხიურ ატმოსფერაში ჯგუფის „აზრმა“, რასაკვირველია, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და გლოვის ზარივით გაისმა აბობოქრებულ მიდამოში. დღეს კი, როცა ჭკუა-დამჯდარი ბსჯელობა შესაძლებელია და სხვა დროზე უფრო საჭიროც, როცა პოლიტიკურ ოცნებამ პარტიულ პროგრამებს დაუთმო ადგილი და მრავალი რამე, რაც რვა-ათი წლის წინედ ზიზღს ან აღტაცებას იწვევდა, სულ სხვანაირად გვეჩვენება,—შესაძლოდ მიგვაჩნია აუღელვებლად მოვისმინოთ „ჯგუფის აზრი“, როგორც ერთი კერძო, მაგრამ მთლიანი ნაკვეთი ავტოკეფალიის ისტორიისა.

მოგვყავს მისი მოკლე შინაარსი განუმარტებლად.

---

[1]) გაზ. „საქართველო“ № 81.

[2]) „Какой тактики должно держаться грузинское духовенство при возстановленіи родной церкви въ автокефальныхъ ея правахъ?“ (Мнѣніе группы священниковъ).

[3]) გაზ. „Тифлисъ“ 12 ოქტ. 1906 წ. № 16. სხვა გაზეთების შესახებ ცნობა არა მაქვს.

[4]) „Не раздѣляя во многомъ мнѣнія группы священниковъ, Редакція, однако, считаетъ возможнымъ напечатать его въ видахъ всесторонняго освѣщенія затронутыхъ вопросовъ“—ასეთი შენიშვნა გაუკეთა რედაქციამ.

საქართველო

წლის ღირებულება ერთს 3 მ. 50 კ.; ერთის თვით—90 კ.
ფოსტის ადრესი: თბილისი, მიხეილის ქუჩა, 4. ფოსტის ყუთი 76.

ასეთი იყო „ჯგუფის“ აზრი, რომელიც 1906 წელს დაიბეჭდა გაზეთ „Тифлис“-ში. ვინ შეადგენდა ამ „ჯგუფს“, დღესაც საიდუმლოებით არის მოცული. მისი აზრი კი თავისებური რეალი პოლიტიკაა, რომლის მიუდგომელი და სწორე დაფასება მხოლოდ შორეულ მომავალში შეიძლება.

(შემდეგი იქნება)

**ახელი.**

# პოლონეთში

მალე ორი თვე შესრულდება, რაც გერმანელები პოლონეთის ბატონ-პატრონები გახდნენ. ვილჰელმისაგან უკვე ბრძანება გამოიცაო ჯარებისადმი, სადაც ნათქვამი იყო: „ჩვენ მიერ დაჭერილი რუსთა სამფლობელოში პოლონელთა ოლქები კულტურითა თუ სულით ჩვენ გვეკუთვნოდა. ამიერიდან ხომ ჩვენი იქნება და ჩვენი. ამიტომ გერმანიის ჯარებმა უნდა დაიფარონ მთელი ეს ქვეყანა სრული განადგურებიდანაო. გერმანელმა მფრინავებმა მიმოჰფანტეს მოწოდებანი, სადაც პოლონელებს ჰპირდებოდნენ სწრაფს აღორძინებას და მშვიდობიანობის ჩამოგდებას:

„თქვენ საკმაოდ გაიტანჯენით,—ეწერა მოწოდებაში,—ეხლა თქვენს წამებას მოეღო ბოლო. ჩვენი ჯარები უკვე ვისლაზე გადავიდნენ. მათ ზურგს უკან სრულიად გულ-დამშვიდებით შეგიძლიანთ შეუდგეთ მყუდრო ცხოვრებას და მუშაობას. ჩვენ მოგვაქვს თქვენი დიდი ხნის მოლოდინის დაგვირგვინებული მყუდროება, სრული სიმშვიდე“. ამასთანავე ჰპირდებოდენ მთელი ამ ქვეყნის აღყვავებას, რა თქმა უნდა, გერმანიასთან ერთად. „ვიყოთ განუყრელი მეგობრები“,—ასე თავდებოდა ეს მოწოდება.

როდესაც პოლონელთა წარმომადგენლები წარუდგნენ ვილჰელმს და მოსთხოვეს გეგმა პოლონეთის მომავალი მოწყობისა, ამაზე ვილჰელმმა უპასუხა: „ამ ჟამად მე ჯარისკაცი ვარ და არა დიპლომატი. მთელი ჩემი ფიქრი და გონება იქითკენ არის მიმართული, რომ გერმანიის მტრები გავანადგურო. ამნაირად, პოლონეთის მომავალ ბედისთვის **ჯერჯერობით** არა მცალიან. ამიტომ, მთელს მზრუნველობას პოლონეთის მოსაწყობად მივანდობ ჩემს შვილს. მიჰმართეთ მას... მაგრამ ვეჭვობ კი, რომ ან თვით მას რაიმეს მოგვარება შეეძლოს. შვილიც სადიპლომატოდ არ მომიმზადებია“.

ამბობენ ვარშავაში შესვლისას ვილჰელმმა საკუთარი ფეხით მოიარა ყოველი კუთხე, მაგრამ ოდნავ არ დაუყოვნებია, სწრაფად ვისლისკენ გამოსწია ინჟინრებითა და გენერლებით გარს შემორტყმულმა და საყოველთაოდ დაიძახა:

„ჩვენ მხოლოდ გალია დავიჭირეთ, თვით ფრინველი კი გაგვიფრინდა... ის უნდა დავიჭიროთო!“

ვილჰელმი გამოცდილ მეეტლეს დაემსგავსა, რომელიც ცხენებს მიერეკება, რომ დანიშნულ ადგილას მისვლა არ მოუგვიანდეს. იგიც ამ მეეტლესავით მას შემდეგ ერეკება და ერეკება ჯარებს, თუმც არ იცის, სად დაულამდება ან სად დაეცემიან მისი განთქმული ბედაურები... (რ. ს.)

# მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

(დასასრული).

ოსმალეთის გლეხობა სრულიად არა ჰგავს ჩვენს გლეხობას თავისი-ყოფა ცხოვრებით. თუმცა ისინიც მისდევენ მესაქონლეობას, ხვნა-თესვას და სხ., მაგრამ რამდენადაც ჩვენი გლეხი ცოტად თუ ბევრად კულტურულად ვითარდება, იმდენად ოსმალეთის გლეხი ქვეითდება. ეს იმითი აიხსნება, რომ მათ სოფლებში ვერ იპოვით ვერც სკოლას, ვერც რაიმე კულტურულ-დაწესებულებას, რომ მათზედ რაიმე გავლენა იქონიოს. ამის გარდა ოსმალელი გლეხი საშინელი ზარმაცია და მთელი დღე ცუდად ატარებს. უმეტესი მუშაობა ქალისაგან წარმოსდგება. ხასიათით ოსმალი გლეხი ძალიან მშვიდია, იგი ყოველთვის სცდილობს ტკბილად მოგექცეს იმ დრომდის ვიდრე თაღლითობას და ორპირობას შეგატყობს, თუ ეს ნახა შენში, მაშინ აგიძულებს და აღარ დაგერიდება გავნოს... ჩვენი გლეხი კი ამ შემთხვევაში დაბდურია, რადგან თავის სარფისთვის ნათლიად გამხდარ რომელიმე ვაჭარს თუმცა ნათლად ჰხედავს, რომ ტყავს აძრობს მაგრამ მაინც „მირონის“—ხათრით ვერას ეუბნება. ამ ომიანობმა ხომ სრულიად დააბეჩავა ოსმალი—გლეხი: საკმარისია ვინმე კაკარდიანის დანახვა, რომ მთელი სოფლის ქალი და კაცი დაიმალოს. მე წინა წერილში მოხსენებული მქონდა, რომ სამხედრო მთავრობა გზა ტკეცილს აკეთებს, ამ გზაზედ რა თქმა უნდა არიან „პოდრაჩიკები“. აი ესენი ამუშავებენ სომხებს, რუსებს რომელთაც 2 მან. 50 კაპ. ეძლევათ დღეში. ხოლო ამავე დროს ამუშავებენ აქ ოსმალებს და ქურთებს, რომელთაც ეძლევათ 60—70 კაპ., და თან გვერძე სტრაჟნიკი უდგიათ,

ამას სჩადიან „პოდრაჩიკები“—მთავრობას კი აჩვენებენ, ვითომ ამათაც 2 მან. 50 კაპ. ეძლევათ. ასე ჰყვლეფდნენ ოსმალებს ვიდრე გაიგებდნენ, მაგრამ დღეს სურათი შეიცვალა ათასგვარ მიზეზების გამო, რომელსაც ამ მოკლე ხანში გავაცნობ მკითხველს.

**ვანო ს—შვილი.**

# ჩვენი ცხოვრება

**ს. ლელიანი** (სიღნაღის მაზრა). ლელიანის საზოგადოებაში კერძოდ და საზოგადოდ მთელს სიღნაღის მაზრაში ათასი ავადმყოფობა მძვინვარებს. ძარტო ლელიანის საზოგადოებაში დღეში 6—7 კაცს მარხავენ. უწამლობა და უექიმობა ამწვავებს მდგომარეობას. ამით სარგებლობენ მაწანწალა მეწვრილმანეები და რაღაც წამლებს ჰყიდიან. ისედაც გაღატაკებული ხალხი ახლა მათ საყვლეფ საგნად გარდაიქცა. სიკეთეს იმას ჰხედავენ, რომ ხშირად მათი წამლებით ავადმყოფები იშხამებიან, მაგრამ ვინაა ყურისმგდებელი ან პატრონი, რომ შეუგნებელ ხალხში ამ მონავარდეებს დროზე ლაგამი ამოსდონ? დრო მათ ხელს უწყობთ და უჯობოთ იმიტომაც დათარეშობენ უკაცოდ დარჩენილს ჩვენს სოფლებში.

**სანდრო.**

—

**ხარკოვი.** წრეულს ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტს დიდძალი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა მოაწყდა. საეჭვოა სხვა რომელიმე უნივერსიტეტში იყვეს ამოდენა ქართველი სტუდენტობა, რამდენიც აქ. საცა მიიხედავთ—ქართული ლაპარაკი გეყურებათ. ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს მეტ ნაწილს თხოვნები საექიმო და საბუნებისმეტყველო ნაწილზედ ჰქონდათ მიმართული. ყველაზედ მეტი მოჰყვა საბუნებისმეტყველო ნაწილზედ, მერე საექიმოზედ და სულ ნაკლები იურიდიულზედ. წრეულს ხარკოვში ცხოვრება წარსულ წლებთან შედარებით, ძვირია, რადგანაც ქალაქს მრავალი გამოქცეული მოაწყდა. ოთახები საშოვარი არ არის და თუ იშოვით, იმასაც ძვირფასად. გამოქცეულებმა ბევრი კარგი არ შემატეს ხარკოვს: ცხოვრების გაძვირების გარდა ავადმყოფობაც გაავრცელეს. ამ ჟამად ქალაქში ხოლერა მძვინვარებს. მეტი წილი ავადმყოფებისა გამოქცეულნი არიან. იღბლად, სიცივეებიც დაიჭირა და ხოლერით ავადმყოფთა რიცხვიც ცოტა არ იყოს შემცირდა. ქართული გაზეთები ნაკლებ მოგვეპოვება: საზოგადო ბიბლიოთეკასამკითხველოში თბილისის გაზეთებიდან მარტო სამი მოდის: „სახალხო ფურცელი“, „თანამედროვე აზრი“ და „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ი. კარგი იქნებოდა სხვა გაზეთებიც რომ გვქონოდა.

სტუდ. **მიხ. ლომიძე.**

—

**სოფ. ბეკამი.** (გორის მაზრა). მიუხედავად იმისა, რომ დღეს ენკენისთვის ათია, ამ სოფელში ჯერ სწავლა არ დაწყობილა, თუმცა მასწავლებელი თავის დროზე გამოცხადდა და საქმის შედგომას აპირებდა. სამწუხაროდ, სოფლის ზოგიერთ შეუგნებელ პირების გამო, მან თავისი სურვილი ვერ განახორციელა,—ჩამოსვლის მესამე დღეს გულდაწყვეტილი მოშორდა სოფელს და ვგონებ აღარც დაუბრუნდება... ამ რიგად, ამ დუხჭირ დროში, როცა ყველა ცდილობს თვალი მოიფშვნიტოს და სწავლას დაეწაფოს, ს. ბეკამის ნორჩი თაობა ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. სავალალო ის არის, რომ ამ საქმის ჩამდენი სულ რამდენიმე კაცია, რომელნიც თავიანთ რიხიანობით თუ სხვა მიზეზით მთელ სოფელსაც აბრიყვებენ.

„მე უშვილო ვარ და სკოლის ხარჯს არ გავწევო“—გაიძახის ერთი, „მე ყველა შვილები კიდევაც დავზარდე და სკოლა აღარ მესაჭიროებაო“, გაიძახის მეორე. ამ რიგად სოფელს ერთი პირი ვერ შეუკვრია და დღემდის ყაყანში ატარებს დროს. დრო კი მიდის და ამოდენა ბავშვობა სულ უბრალოდ სწავლას სცდება. გადასაწყვეტი კი მხოლოდ მასწავლებლის ბინის ხარჯი და „სტოროჟის“ ჯამაგირია. თითო ოჯახს სულ ბევრი ხუთი ექვსი შაური ექნება წლიურად გადასახდელი და აი ეს გროშები ალაპარაკებს ხალხს, ამის გამო ფერხდება საქმე. მართალია, გლეხის გაფხეკილ ჯიბეს მრავალი შემაცქერელი ჰყავს, მაგრამ მაინც სოფელს ჩირქად მოეცხობა ეს სამარცხვინო ამბავი, რომ ხუთი შაურის გულისთვის სკოლის კარები დაუხუროს პატარა ბავშვებს, რომელთაც ასე სწყურიანთ სწავლა...

ბავშვების სურვილსაც რომ თავი დავანებოთ, ეხლა ყველას ესმის, რომ მხოლოდ სწავლით და ცოდნით შეიძლება ადამიანმა შეგნება და ძალა მოიკრიბოს რათა სხვას აღარ დაეჩაგვრინოს, სხვის დაბალ ლობედ აღარ იყოს. ეს მგონი თვით სკოლის მოწინააღმდეგეთაც კარგად ესმით. მაშ რაღა აბრკოლებს საქმეს?!. თუ ერთი ბეწო შეგნება მაინც აქვს სოფელს, სკოლის გახსნა უნდა დაჩქარდეს და ამას უნდა სცდილობდნენ ძველები თუ არა ახალგაზდები მაინც, რომელნიც ჩვენდა სასიამოვნოდ გულით სწუხან ამ ამბის გამო. იცოდეთ, უსკოლოდ მომავალ სოფლის ბიბლიოთეკასამკითხველოც დიდ გასაჭირში ჩავარდება, უბინობის გამო და შეიძლება ნებართვა, რომელსაც ამ ცოტა ხანში მოველით, ვერც კი გამოიყენოთ. თვით იმ ნორჩ და საყურადღებო საქმესაც, რომელსაც ამ ზაფხულს ჩაეყარა საძირკველი, დიდი შეფერხება მოელის თუ მცოდნე და გამოცდილი პიროვნება მასწავლებლის სახით ხელმძღვანელად არ ეყოლება. აქ ნორჩთა საყურადღებო საქმეთ იგულისხმება სოფლელ ახალგაზდების დასი რომელიც ამ ზაფხულს შესდგა. დიდის დაკვირვებით და ორიგინალობით ასრულებენ ეს ახალგაზდანი კისრ როლებს. მათში ხალისი და კვარული საქმისა დიდია. ასე გასინჯ, საკუთარი თეატრის შენობაც კი აიგეს, თუმცა უბრალო, მაგრამ ესეც დიდი ნაბიჯია სოფლად და მეტად საწყენი იქნება თუ ეს სიმპატიური საქმე და ამოდენა ამაგი სულ უბრალოდ გაჰქრება. ეს კი ადვილად მოსალოდნელია თუ ხელმძღვანელი არ ეყოლებათ. სკოლის გახსნით კი ყველა ეს ზემო-აღნიშნული შიში მთლად მოშორდება სოფელს და თვით მცხოვრებნიც წინსვლის და წარმატების გზას დაადგებიან.

**ვინცალიძე.**

# დეპეშები

**პარიზი,** 14 სექტემბერი. საღამოს ოფიციალი ცნობა. არასის ჩრდილოთი ცვლილება არ მომხდარა. გერმანელების არტილერია სუსტად და კანტი-კუნტად უშენს ზარბაზანს იმ ახალ პოზიციებს, რომლებიც ფრანგებმა დაიჭირეს. ამ რაიონში ფრანგებმა 1500-ზე მეტი ტყვე წამოიყვანეს. შამპანში ბრძოლაა. ფრანგებმა დაიჭირეს გერმანელების თხრილებისა და სანგრების მეორე ხაზის წინა ფრონტი. წართმეული ზარბაზნების რაოდენობა არ არის საბოლოოდ გამორკვეული, მაგრამ 70 მაინც აღემატება. წამოღებულია საველე და მძიმე ზარბაზნები; ამათგან 23 ინგლისის ჯარებმა წაართვეს გერმანელებს. არგონებში დღეს გერმანელები შეუდგნენ შემოტევას, მაგრამ ფრანგები მედგრად ექვეთნენ და შეაჩერენ. ფილმორტთან გერმანელებმა ზედიზედ 4 იერიში მიიტანეს ფრანგების პოზიციებზე, რომელთაც წინდაწინ სასტიკათ დაუშინეს ყველა ყალიბის ზარბაზანი და აგრეთვე სულთამხუთი გაზებიანი ყუმბარები. გერმანელებმა მხოლოდ ზოგ ადგილას შესძლეს მოახლოვებოდენ ფრანგების პირველ ხაზის სანგრებს, სადაც დამხმარე სანგრებმა მიაგებეს ძლიერი ცეცხლი და ყველა პუნქტიდან გერმანელები უკუაგდეს დიდის ზარალის მიყენებით. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**ბუქარესტი,** 13 სექტ. კონსერვატულ პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომ რუმინიის საზოგადო მობილიზაცია აუცილებელია, რათა მან განახორციელოს თავის იდეალებიო.

**პარიზი,** 14 სექტ. ფრანგთა გამარჯვებამ დიდი სიხარული გამოიწვია, თუმცა ყველანი მშვიდად შეეგებნენ ამბავს. მათ კარგად უწყიან, რომ მტრის ძალა ჯერ კიდევ არ გამოლეულა.

**ათინა,** 14 სექტ. გერმანელთა ელჩი 13 სექტ. მიიღო მეფემ.

**ჟიტომირი,** 14 სექტ. როვნოში დაბრუნდა პოლიცია, ფოჩტა-ტელეგრაფი. განახლდა დეპეშების მიღება როვნოსა და ლუცკისთვის. გუშინ საღამოს გაატარეს 6000 ავსტრიელი და გერმანელი ტყვე.

**ჰავრი,** 14 სექტემბერი. ბელგიის ცნობა. 13 სექტემბერს ღამე გერმანელები სუსტად ესროდენ ბელგიელების წინ წაწეულ პოსტებს. ბელგიელი ავიატორები, მიუხედავად ძლიერი ზარბაზნის თოფის სროლის და ტყვიისმფრქვეველის ცეცხლისა, გაეშურნენ გერმანელების ბანაკისაკენ და კლერკენისა და ეწენის რაიონში ყუმბარები ჩამოჰყარეს. ბობის გზაზედ ყუმბარებმა დიდი ცეცხლი გამოიწვიეს. დღეს რასკომპელესთან და დიუკსმიუდეს სამხრეთით მდებარე სანგრებთან გერმანელებმა მკაცრი საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს.

**ლონდონი,** 14 სექტემბერი. ფელდმარშალი ფრენჩი დეპეშით იუწყება 14 სექტემბერს საღამოს ათ საათზე გიულიხის ჩრდილო-დასავლეთით ინგლისის ჯარებმა მოიგერიეს გერმანელთა იერიშები და თანაც დიდი ზარალი მიაყენეს. ლორის აღმოსავლეთით ინგლისელების წინსვლა არ შეჩერებულა. ტყვედ წამოიყვანეს 53 გერმანელი ოფიცერი და 2,800 ჯარისკაცი. ამასგარდა ინგლისელებმა ხელთ იგდეს 18 ზარბაზანი და 32 ტყვიისმფრქვეველი. გერმანელებმა დასტოვეს დიდ ძალი სამხედრო სურსათი.

ოფიციალი ცნობაა რომ გალიპოლის კუნძულზე უკანასკნელად უმთავრესად ბრძოლა ჰაერში ხდებოდა ორთავე მხრიდან. ოსმალო ავიატორებმა იერიში მიიტანეს მოკავშირეთა ჰაერში მებრძოლ რაზმის ბაზაზედ, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. ინგლისელმა ავიატორებმა დააზიანეს ოსმალთა ჰანგარი და ბურგასში მრავალი გემებიც.

# წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით დამიბეჭდოთ შემდეგი: 12 აგვისტოს გარდაიცვალა ჯარისკაცი ალექსანდრე ავალიშვილი, რომელიც დაასაფლავეს ნავთლუღში. მიცვალებულის გულდათუთქულმა ჭირისუფლებმა განვიზრახეთ მისი ჩამოსვენება სამშობლო სოფელ კიცხში. მრავალი დაბრკოლება შეგვხვდა ჩამოსვენების საქმეში და ჩვენი განზრახვა სისრულეში ვერ მოდიოდა რომ პატივცემულ ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოზს არ ეშველნა და მამობრივი მზრუნველობით არ დაგვხმარებოდა. დაგვდვა რა დიდი ამაგი, კერძოდ ჩვენთვის და დამტკიცდა რა მოყვასისადმი დიდი სიყვარული და თავაზიანობა, უგულითადეს მადლობას უცხადებ მის მეუფებას რომ შემდეგშიაც არ მოეკლოს მზრუნველობა ჩვენისთანა ხალხისათვის.

**მიხეილ. ივ. გამყრელიძე, ზაზა ავალიშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რ ინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან . | 6 ს. 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. 25 წ. | დილ. |
| | „ საგარ. | 10 ს. 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან მიდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. 55 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ. |


წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

ვვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—38)

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.